# ენერგო-პრო ჯორჯია

35/10 კვ მაბვის ქვ/ს “თელოვანი“

(ქალაქი თბილისი, სოფელი თელოვანი)

საერთო განმარტებითი ბარათი და ელექტრული ნაწილი

მუშა პროექტი

შეკვეთის # 25-1552

განვითარების მენეჯერი

დავით ხარშილაძე




პროექტირების განყოფილების უფროსი

არჩილ გოგიაშვილი

ქ. თბილისი

2025 წ.

## სარჩევი


1. საერთო განმარტებითი ბარათი და ელექტრული ნაწილი ..... 3

1.1. საწყისი მონაცემები ..... 3

1.2. ქვესადგურის ტექნოლოგიური ნაწილი ..... 8

1.3. პროექტით გათვალისწინებული ღონისძიებები ..... 11

1.4. ქვესადგურის დამამიწებელი მოწყობილობა ..... 12

1.5. 10 კვ ძაბვის კაბელი ..... 15

1.6. ელექტროენერგიის აღრიცხვა ..... 15

1.7. აღრიცხვის კვანძის მასალებისა და მოწყობილობების სპეციფიკაცია ..... 18

2. სპეციფიკაციები ..... 19

3. ქვესადგურის ელექტრული ნაწილის ნახაზები ..... 73

## 1. საერთო განმარტებითი ბარათი და ელექტრული ნაწილი

### 1.1. საწყისი მონაცემები

ბოლო პერიოდში, სოფელ დიღომსა და თელოვანში (ქ. თბილისი) საგრძნობლად გაიზარდა ელექტროენერგიის მოხმარება, ფიქსირდება გაზრდილი რაოდენობით ახალი განაცხადები, მათ შორის დიდი სიმძლავრის მოთხოვნით განსაკუთრებით სოფ. თელოვანის მხარეს.

ასევე, მიმდებარე ტერიტორიას გააჩნია განაშენიანების მაღალი პოტენციალი - სოფლებში (დიღომი, დიდგორი,თელოვანი, ბაჭყალა, ზემოუბანი) მიმდინარეობს დიდი რაოდენობით მიწის ნაკვეთების საჯარო რეესტრში რეგისტრაცია, რაც ახლო პერსპექტივაში კიდევ უფრო გაზრდის მოთხოვნას ელექტროენერგიაზე.

ამჟამად სოფელ დიღმისა და სოფელ თელოვანის მიმდებარე ტერიტორიის ელექტრომომარაგება ხორციელდება 110/10/6 კვ ქვ/ს „დიღომი-1“-ის 6 კვ ეგხ #6-ის საშუალებით.

აღნიშნული საჰაერო-საკაბელო ეგხ-ის მაგისტრალური ნაწილის სიგრძე აღწევს 14 კმ-ს და მასზე მიერთებულია 40-მდე სატრ-რო ქვესადგური, შესაბამისად, არსებული ქსელი ვერ უზრუნველყოფს ახალი მოთხოვნების დაკმაყოფილებას.

ამასთან, გასათვალისწინებელია 110/10/6 კვ ქვ/ს „დიღომი-1“-ში თავისუფალი სიმძლავრის პრობლემა, რის გამოც შეფერხებულია ახალი აბონენტების ქსელზე მიერთება.

სს “ენერგო-პრო ჯორჯია“, როგორც ელექტროენერგიის განაწილების ლიცენზიის მფლობელი საწარმო, ვალდებულია კანონმდებლობით დადგენილი წესით უზრუნველყოს მომხმარებლებისათვის ელექტროენერგიის მიწოდება.

აღნიშნულის გათვალისწინებით, სოფელ დიღომსა და თელოვანში (ქ. თბილისი) საგრძნობლად მზარდი მოთხოვნისა და საიმედო ელექტრომომარაგების უზრუნველსაყოფად, სს “ენერგო-პრო ჯორჯიას“ დაგეგმილი აქვს ახალი, **35/10 კვ ძაბვის ქვ/ს „თელოვანის“ მშენებლობა**.

საპროექტო ქვესადგურისთვის სახელმწიფოს მიერ მოხდა ნაკვეთის გამოყოფა თელოვანში მდებარე დაურეგისტრირებელი ტერიტორიიდან და მისი გადმოცემა სს „ენერგო-პრო ჯორჯია“-ს საკუთრებაში:

საკადასტრო კოდი - 01.72.14.104.006;
ნაკვეთის ფართობი - 1315 კვ.მ;
ნაკვეთის ტიპი - არასასოფლო-სამეურნეო.
ნაკვეთის კოორდინატები (იხ. ნახ.#1):

| ***UTM38*** | | |
|---|---|---|
| ***##*** | ***X*** | ***Y*** |
| ***1*** | ***474 135*** | ***4 628 351*** |
| ***2*** | ***474 144*** | ***4 628 348*** |
| ***3*** | ***474 145*** | ***4 628 343*** |
| ***4*** | ***474 149*** | ***4 628 339*** |
| ***5*** | ***474 153*** | ***4 628 337*** |
| ***6*** | ***474 174*** | ***4 628 330*** |
| ***7*** | ***474 169*** | ***4 628 316*** |
| ***8*** | ***474 155*** | ***4 628 321*** |
| ***9*** | ***474 149*** | ***4 628 301*** |
| ***10*** | ***474 122*** | ***4 628 310*** |
| ***11*** | ***474 133*** | ***4 628 345*** |




ნახ.#1 - 35/10 კვ ძაბვის საპროექტო ქვესადგურის განთავსებისთვის საჭირო მიწის ნაკვეთი




- ქვესადგურის ტერიტორიის რელიეფი საშუალოდ დახრილია.
- სამშენებლო მოედნის სეისმურობა შეადგენს 8 ბალს.
- ატმოსფერო არ არის დაბინძურებული.
- ყველაზე ცხელი თვის საშუალო ტემპერატურული მაქსიმუმი შეადგენს 30,0 0C.
- ზამთრის ყველაზე ცივი პერიოდის საშუალო ტემპერატურა შეადგენს 0,6 0C.
- წლიური ნალექების ჯამური სიდიდე - 560 მმ.
- თოვლის საფარის წონა – 0.50 კ.პა
- გრუნტის სეზონური ჩაყინვის ნორმატიული სიღრმე - 0 სმ.
- ქარის სიჩქარითი დაწნევა - 0,85 კპა.

გეოლოგიური კვლევის დასკვნის საფუძველზე სამშენებლო მოედანზე გვევლინება გრუნტის ორი ფენა:

ფენა #1 - ნიადაგის ფენა 0,00-0,20 მ;

ფენა #2 - 0,20-5,0 მ სუსტად გამოფიტული საშუალოშრეებრივი, მსხვილმარცვლოვანი ქვიშები, მოც.წონა - 2,18 ტ/მ$^3$; შიდა ხახუნის კუთხე - 270, კუთრი შეჭიდულობის ძალა - 1,4 კგ/სმ$^2$, დეფორმაციის მოდული - 270 კგ/სმ$^2$; გრუნტის წინაღობა კუმშვაზე - 8,88 კგ/სმ$^2$; საამშენებლო კატეგორია - V.

ქვესადგურისათვის გამოყოფილ ტერიტორიაზე დაგეგმილია 35/10 კვ ძაბვის დახურული ტიპის ქვესადგურის აშენება, რომლზედაც გათვალისწინებულია განთავსდეს:

- დახურული გამანაწილებელი მოწყობილობების (დგმ) და ქვესადგურის მართვის პუნქტის შენობა - საერთო-საქვესადგურო მართვის პუნქტის (სსმპ);
- შენობა ძალოვანი ტრანსფორმატორებისთვის;
- მიწისქვეშა ზეთშემკრები რეზერვუარი;
- საკანალიზაციო ამოსაწმენდი ორმო.

პროექტით გათვალისწინებულია არსებული ტერიტორიის ნაწილობრივი მოსწორება.

საერთო-საქვესადგურო მართვის პუნქტის (სსმპ) შენობაში გათვალისწინებულია განთავსდეს: 35 კვ და 10 კვ ძაბვის დგმ-ის სათავსო, მართვის კარადების სათავსო, სამორიგეო ოთახი, სამუშაო ოთახი და დამხმარე სათავსო.

ძალოვანი ტრ-რების შენობა შედგება ორი სათავსოსაგან სადაც გათვალისწინებულია ძალოვანი ტრ-რების დადგმა. ორივე სათავსოში გათვალისწინებულია ზეთმიმღები და ზეთგამტარი სისტემა, რომელიც დაკავშირებული იქნება ტერიტორიაზე გათვალისწინებულ მიწისქვეშა ზეთშემკრებ რეზერვუართან.

ზეთგამტარი სისტემა უზღუნველყოფს ავარიის შემთხვევაში დაღვრილი ზეთის და ხანძრის ქრობისას დაღვრილი წყლის დადგენილი რაოდენობის დროულად და სრულად გადაყვანას ზეთშემკრებ რეზერვუარში. ზეთშემკრები რეზერვუარის მოცულობა უზრუნველყოფს ავარიის შემთხვევაში, ძალოვანი ტრ-რის ზეთის სრული მოცულობის და ასევე ხანძრის ქრობისას დაღვრილი წყლის, ,,ელექტროდანადგარების მოწყობის წესები“-ით, განსაზღვრული მოცულობის სრულად მიღებას.

საპროექტო ქვ/ს-ის ელექტროენერგიით უზრუნველყოფა განხორციელდება ზაჰესის 35 კვ ძაბვის სექციიდან, სს „ენერგო-პრო ჯორჯია“-ს კუთვნილი 35 კვ ძაბვის ეგხ „მცხეთა“-ს საშუალებით (ს/კ: 72.00.901).

საპროექტო ქვესადგურის ძირითადი ელექტრული პარამეტრები:

- ქვესადგურის დადგმული სიმძლავრე საბოლოო ეტაპზე - 2x10 MVA;
- 35 კვ ძაბვის გამავალი ხაზების რაოდენობა საბოლოო ეტაპზე - 2 ერთ.;
- 10 კვ ძაბვის გამავალი ხაზების რაოდენობა საბოლოო ეტაპზე - 8 ერთ.;
- ყველა უჯრედზე უნდა მოეწყოს SCADA სისტემა.


ქვესადგური
ქვესადგურის ტერიტორიის ღობე
ქვესადგურის ტერიტორიის ღობე
ქვესადგურის ტერიტორიის ღობე







ფოტო #1 - #5 - საპროექტო ქვესადგურის განთავსებისთვის შერჩეული მიწის ნაკვეთის ფოტოები

## 1.2. ქვესადგურის ტექნოლოგიური ნაწილი

35/10 კვ მაბვის ქვ/ს „თელოვანის“ მშენებლობა გათვალისწინებულია სახელმწიფოს მიერ გამოყოფილ და სს „ენერგო-პრო ჯორჯია“-ს საკუთრებაში გადმოცემულ ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი - 01.72.14.104.006), სოფელ თელოვანში (იხ. ნახ.#2 – 35/10 კვ მაბვის საპროექტო ქვესადგურის გენერალური გეგმა).

საპროექტო ქვესადგურისთვის 35 კვ მაბვაზე შეირჩა ორ-ტრანსფორმატორიანი მთავარი სქემა ორ სექციად გაყოფილი შემკრები სალტეებით, რაც განხორციელდება DNF7 Schneider-ის ტიპის შიდა დადგმულობის კომპლექტური გამანაწილებელი მოწყობილობის (კგმ) საშუალებით - ორი სექცია, 8 უჯრედი.

10 კვ მაბვაზე გათვალისწინებულია შიდა დადგმულობის ორი სექციის მოწყობა (არა ნაკლებ 16 უჯრედი).

მეორადი კომუტაციის მოწყობილობა - 220 VDC მუდმივ ოპერატიულ დენზე.

35 კვ და 10 კვ კგმ განთავსდება სსმპ-ის გაერთიანებულ შენობაში.

35/10 კვ მაბვის ძალოვანი ტრ-რების განთავსება გათვალისწინებულია ცალკე მდგომ დახურულ შენობაში.

პირველ ეტაპზე დამონტაჟდება 35/10კვ, 6300 კვა ერთი ერთეული ძალოვანი ტრ-რი, რომელიც აღჭურვილი იქნება დატვირთვის ქვეშ მაბვის რეგულირების მოწყობილობით (რდქ - РПН).

ქვესადგურის ტერიტორიაზე გათვალისწინებულია დამცავი, მუშა და მეხდამცავი დამამიწებელი მოწყობილობის მონტაჟი.

ქვესადგურის ტერიტორიის შემოღობვა შესრულდება მავთულბადის ჩარჩოებით ლითონის დგარებზე. შემოღობვაში გათვალისწინებულია 1 ჭიშკრის და 1 კუტიკარის მოწყობა.

საპროექტო ქვ/ს-ის ქსელში ჩართვა განხორციელდება სს „ენერგო-პრო ჯორჯია“-ს კუთვნილი 35 კვ მაბვის ეგხ „მცხეთა“-ს საშუალებით (ს/კ: 72.00.901), მისი გაჭრით და შესვლა-გასვლის მოწყობით.

**ქვემოთ მოცემულია საპროექტო ქვესადგურის მთავარი შეერთებების ცალხაზოვანი სქემები (იხ. ნახ.#3 და ნახ.#4 - ქვესადგურის მთავარი შეერთებების ცალხაზოვანი სქემები).**

# ნახ.#3 - ქვესადგურის მთავარი შეერთებების ცალხაზოვანი სქემა - I ეტაპი



# ნახ.#4 - ქვესადგურის მთავარი შეერთებების ცალხაზოვანი სქემა - საბოლოო ეტაპი



### 1.3. პროექტით გათვალისწინებული ღონისძიებები

საპროექტო ქვესადგურის მშენებლობის მუშა პროექტი ითვალისწინებს შემდეგი ღონისძიებების განხორციელებას:

- ქვესადგურისთვის გამოყოფილ მიწის ნაკვეთზე განთავსდება:
  - საერთო-საქვესადგურო მართვის პუნქტის (სსმპ) შენობა, რომელშიც განთავსებული იქნება 35 კვ და 10 კვ ძაბვის დგმ-ები;
  - შენობა 35/10 კვ ძაბვის ძალოვანი ტრანსფორმატორებისთვის;
  - მიწისქვეშა ზეთშემკრები რეზერვუარი;
  - 35/10 კვ ძაბვის / 6 300 კვა სიმძლავრის ძალოვანი ტრ-რი - 1 კომპლ. (I ეტაპი);
  - ქვ/ს დამამიწებელი მოწყობილობა - დამიწების კონტური;
  - საკანალიზაციო ამოსაწმენდ ორმო;
  - ქვესადგურის შემოღობვა მავთულბადის ჩარჩოებით ლითონის დგარებზე, 1 ჭიშკრით და 1 კუტიკარით.
- სსმპ-ის შენობაში განთავსდება:
  - 35 კვ ძაბვის დგმ;
  - 10 კვ ძაბვის დგმ;
  - ცვლადი და მუდმივი ოპერატიული დენის წყაროების კარადები:
  - ოპერატიული მორიგის სამუშაო ოთახი;
  - სანიტარული კვანძი.
- 35 კვ ძაბვის დგმ-ის ნაკვეთურში განთავსდება DNF7 Schneider-ის ტიპის კგმ შემდეგი შემადგენლობით (ორი სქცია, 8 უჯრედი):
  - I/F01 ტიპის სახაზო უჯრედი - 2 კომპლ.
  - I/F01 ტიპის სატრ-რო უჯრედი - 2 კომპლ.
  - CR02 ტიპის სასექციო ამომრთველის უჯრედი - 1 კომპლ.
  - CR01 ტიპის სასექციო გამთიშველის უჯრედი - 1 კომპლ.
  - P03 ტიპის ძაბვის ტრ-რის უჯრედი - 2 კომპლ.
- 10 კვ ძაბვის დგმ-ის ნაკვეთურში განთავსდება 10 კვ ძაბვის კგმ შემდეგი შემადგენლობით (8 უჯრედი, I ეტაპი - I სექცია):
  - სახაზო - 4 კომპლ.;
  - სატრ-რო შემყვანი - 1 კომპლ.;
  - საკუთარი მოხმარების ტრ-რი - 1 კომპლ.;
  - ძაბვის ტრ-რი - 1 კომპლ.;
  - სასექციო გამთიშველი - 1 კომპლ.;
- აღრიცხვის კვანძის ჯგუფური კარადა და სკადას მოწყობილობა;
- ელექტროენერგიის აღრიცხვის კვანძი მოეწყობა 10 კვ შემყვანზე, ყველა გამავალ ხაზზე და ს.მ. ტრ-რის 0,4 კვ მხარეს.
- ქვესადგური პროექტირდება 220 ვ მუდმივ ოპერატიულ ძაბვაზე.

ქვესადგურის ტერიტორიაზე ძალოვანი და საკონტროლო კაბელების განთავსება გათვალისწინებულია რკ/ბეტონის საკაბელო ღარებში.

***მიმდებარე ქსელის სარელეო დაცვის მოწყობის პრინციპები და დანაყენების ანგარიში განხილული იქნება ცალკე დოკუმენტში.***

## 1.4. ქვესადგურის დამამიწებელი მოწყობილობა

ქვესადგურში გათვალისწინებულია დამცავი, მუშა და მეხდამცავი დამამიწებელი მოწყობილობის მონტაჟი, რომელიც წარმოადგენს ვერტიკალური დამამიწებლებისაგან და ცვლადი ბიჯის მქონე განივი და გრძივი ჰორიზონტალური ზოლოვანისაგან შედგენილ კონტურს.

საპროექტო ქვესადგურში ხელოვნური დამამიწებლების მოწყობა გათვალისწინებულია იმგვარად, რომ მიღწეულ იქნეს ელექტრული პოტენციალის თანაბარი განაწილება ელექტროდანადგარების განლაგების მთელს ფართობზე.

გეოლოგიური კვლევის მიხედვით, გრუნტის (სუსტად გამოფიტული საშუალოშრეებრივი, მსხვილმარცლოვანი ქვიშაქვები) კუთრი ელექტრო წინაღობა - $\rho \approx 340$ Ωxm.

გაზომვის ცდომილების გათვალისწინებით, დამამიწებელი მოწყობილობის ანგარიში ჩატარებულია გრუნტის კუთრი წინაღობისთვის $\rho 1 = \rho 2 = 400$ Ωxm (იხ. ქვემოთ ცხრილი 1.4.1).

დამამიწებელი მოწყობილობის მოსაწყობად მიწის ყველა სამუშაო უნდა შესრულდეს სამშენებლო სამუშაოების პარალელურად.

ვერტიკალური ელექტროდების სამონტაჟოდ მოეწყოს 4 მ სიღრმისა და 200 მმ დიამეტრის მქონე ჭაბურღილები. ისინი შეივსოს ფენებად ჩატკეპნილი დაბალი კუთრი ელექტრული წინაღობის მქონე გრუნტით (მაგ. არააგრესიული თიხოვანი გრუნტით), რის შემდეგაც თითოეულ ჭაბურღილში მოხდეს ფოლადის მრგვალი ვერტიკალური დამამიწებელი ღეროების (D=20 მმ; L=3.0 მ) ჩარჭობა

დამამიწებელი გამტარების ერთმანეთთან მიერთება შესრულდეს მაქსიმალური საიმედოობით, ელექტრო შედუღებით.

ქვესადგურის ღობის გარეთ მდებარე ჰორიზონტალური დამამიწებლები უნდა ჩაიდოს არანაკლებ 1 მ სიღრმეზე.

ძალოვანი ტრანსფორმატორის კორპუსის დასამიწებლად, დამამიწებელი ზოლოვანა ფოლადი მიყვანილი იქნეს ტრანსფორმატორის დამამიწებელი ჭანჭიკის ქვეშ.

მეხამრიდი კონსტრუქცია დამიწების კონტურთან საჭიროა მიერთდეს არა ნაკლებ ორი-სამი დამოუკიდებელი და სხვადასხვა ადგილზე მიერთებული დამამიწებლით;

ყველა ელ.მოწყობილობის და ქვესადგურის შენობის ლითონის ნაწილები მიერთებული იქნეს დამიწების კონტურთან ზოლოვანა ფოლადით.

ლითონის შემოღობვის თითოეული სექცია მიერთებული იქნეს დამიწების კონტურთან ზოლოვანა ფოლადით ცალ-ცალკე;

შეხების ძაბვის მოთხოვნების დაცვით შესრულებულმა დამიწების მოწყობილობამ, წლის ნებისმიერ დროს, მასში ავარიული დენის გავლისას (მოკლე ჩართვისას) უნდა უზრუნველყოს ისეთი შეხების ძაბვა, რომელიც არ აღემატება ნორმირებულ მნიშვნელობებს (იხ. ГОСТ 12.1.038-82).

დამამიწებელი მოწყობილობის წინაღობის გაზომვის შემდეგ, თუ მისი წინაღობა იქნება საანგარიშო სიდიდეზე მეტი (წლის ნებისმიერ დროს არ უნდა აღემატებოდეს 4.59 ომს), საჭირო იქნება დამატებითი ღონისძიებების გატარება წინაღობის შესამცირებლად.

მოთხოვნილი პარამეტრები უზრუნველყოფილი უნდა იყოს წლის ნებისმიერ დროს, ყველაზე არახელსაყრელ პირობებშიც კი.

## ცხრილი 1.4.1 - დამამიწებელი მოწყობილობის ანგარიში

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| ქვესადგურის ტერიტორიის ფართობი | | 1 661.0 | $m^2$ | |
| ქვესადგურის დამიწების კონტურის ფართობი | S | **1 170.6** | $m^2$ | |
| ჰორიზონტ. განივი და გრძივი ზოლოვანას 40x4 mm ჯამური სიგრძე | $L_H$ | **821.6** | m | |
| ჰორიზონტ. განივი და გრძივი ზოლოვანას ჩადების სიღრმე | t | 0.70 | m | |
| ვერტ. დამამიწებელი ღერო (მრგვალი ფოლადი) - Ø=20 mm; | $l_V$ | 3.00 | m | |
| ქვესადგურის ტერიტორიის გრუნტი: | | | | |
| ○ ზედა ფენის სისქე | $h_1$ | 4.00 | m | |
| ○ ზედა ფენის კუთრი წინაღობა | $\rho_1$ | 400.00 | Ω*m | |
| ○ ქვედა ფენის კუთრი წინაღობა | $\rho_2$ | 400.00 | Ω*m | |
| ○ სეზონური კოეფიციენტი | | | | |
| • ერთფაზა მ.შ.-ის დენი 35 კვ-ზე | $I_{ə.ə.}$ | 40.46 | A | |
| • მ.შ.-ის გამორთვის სრული დრო | $t_{ə.ə.}$ | 1.00 | s | |
| ავარიული რეჟიმის ზემოქმედების ხანგრძლივობას - 1.0 s-ს შეესაბამება შეხების უდიდესი დასაშვები ძაბვა **$U_{შეხ.}$= 60 V** (ГОСТ 12.1.038-82) | **$U_{შეხ.}$** | **60.00** | V | |
| შეხების ძაბვის კოეფიციენტი რთული დამამიწებლისათვის $k_{შ.ძ.} = \frac{M\beta}{(\frac{l_V L_H}{a\sqrt{S}})^{0.45}}$ | $k_{ə.ძ.}$ | 0.0747 | | |
| სადაც | | | | |
| - ვერტიკალური დამამიწებლის სიგრძე | $l_V$ | 3.00 | m | |
| - ჰორიზონტალური დამამიწებლების ჯამური სიგრძე | $L_H$ | 821.60 | m | |
| - ვერტიკალურ დამამიწებლებს შორის მანძილი | $a$ | 3.00 | m | |
| - დამამიწებელი მოწყ. საანგარიშო კვადრატული მოდელის გვერდი | $\sqrt{S}$ | 34.21 | m | |
| - M – დამოკიდებულია შეფარდებაზე $\rho_1/\rho_2$ და აიღება ცხრილიდან. | | | | |
| - ჩვენს შემთხვევაში | $\rho_1/\rho_2$ | 1.00 | | |
| - ცხრილიდან | M | 0.50 | | |
| - β – კოეფიციენტი, რომელიც განისაზღვრება ადამიანის სხეულის წინაღობით $R_{ად.}$=1000 Ω და ფეხის ტერფებიდან დენის განდინების წინაღობით $R_{ტერფ.}$=1.5 $\rho_1$: | β=(Rად./ (Rად.+ $R_{ტერფ.}$)) | 0.625 | | |
| ძაბვა დამამიწებელ მოწყობილობაზე | $U_{დამ.}= U_{შეხ.}/ k_{ə.ძ.}$ | 802.61 | V | ≤10 kV |
| **დამამიწებელი მოწყობილობის წინაღობა უნდა იყოს არა უმეტეს** | **$R_{დამ.დას.} \le U_{დამ.} / I_{ə.ზ.}$** | 19.83 | Ω | |
| უჯრედების რაოდენობა კვადრატის გვერდის გასწვრივ | $m = L_H /(2\sqrt{S}) - 1$ | 11.00 | | |
| ვიღებთ | m | 11.00 | | |
| ჰორიზონტალური დამამიწებლების სიგრძე საანგარიშო მოდელში | $L`_H = 2\sqrt{S}(m+1)$ | 821.60 | m | |
| უჯრედის გვერდის სიგრძე | $b = \sqrt{S} / m$ | 3.11 | m | |
| ვერტ. დამამიწებლების რაოდენობა კონტურის პერიმეტრის გასწვრივ | $n_v = (\sqrt{S}*4)/(1* l_V)$ | 45.62 | | |
| ვიღებთ | $n_v$ | 56.00 | | |
| ვერტიკალური დამამიწებლების ჯამური სიგრძე | $L_V = l_V n_v$ | 168.00 | m | |
| ფარდობითი ჩაღრმავება | $(l_V + t)/\sqrt{S}$ | 0.108 | > 0.1 | |
| მაშინ | $A = 0.385 - 0.25*(l_V + t)/\sqrt{S})$ | 0.358 | | |
| გრუნტის ფენის ფარდობითი სისქე | $(h_1 - t)/ l_V$ | 1.10 | | |
| აღნიშნული პირობებისთვის ცხრილიდან განისაზღვრება ფარდობითი ეკვივალენტური კუთრი წინაღობა ბადისთვის ვერტიკალური დამამიწებლებით | **$\rho_e/\rho_2$** | **1.00** | $\rho_1/\rho_2$= | 1.00 |
| | | | a/lv= | 1.00 |
| | | | (h1–t)/lv= | 1.10 |
| მაშინ ეკვივალენტური კუთრი წინაღობა | $\rho_e = 1* \rho_2$ | 400.00 | Ω*m | |
| **საანგარიშო მოდელად გარდაქმნილი რთული დამამიწებელი მოწყობილობის საერთო წინაღობა** | $R_{დამ.\Sigma} = A(\rho_e/\sqrt{S}) + \rho_e/(L_H + L_V)$ | **4.59** | Ω | |
| | **დასაშვები წინაღობა** | **19.83** | **Ω** | |

ქვესადგურის დამამიწებელი მოწყობილობის მასალათა სპეციფიკაცია

| ## | დასახელება | რ-ბა, ცალი | სიგრძე, მ | წონა, კგ | შენიშვნა |
|---|---|---|---|---|---|
| 1 | ზოლოვანა ფოლადი 40x4 mm<br>(ჰორიზონტალური დამამიწებელი ელექტროდი) | _ | 822 | 1035.2 | |
| 2 | ზოლოვანა ფოლადი 40x4 mm<br>(მოწყობილობის დაკავშირება კონტურთან) | _ | 200 | 252.0 | |
| | | ჯამი | 1022 | 1287.2 | |
| 3 | მრგვალი ფოლადი Ø=20 mm; L=3.0 m<br>(ვერტიკალური დამამიწებელი ელექტროდი) | 56 | 168 | 414.3 | |
| 4 | შესადუღებელი ელექტროდი | _ | _ | 15.0 | |
| 5 | ანტიკოროზიული საღებავი | _ | _ | 5.0 | |

### 1.5. 10 კვ მაბვის კაბელი

ძალოვანი ტრ-რის 10 კვ მაბვის გამომყვანების დასაკავშირებლად 10 კვ შემყვანის უჯრედთან, პროექტით გათვალისწინებულია A2XSY 12/20 kV 1*300 RM/25 ტიპის, ალუმინის ერთფაზა კაბელის გამოყენება. საკაბელო ხაზის სიგრძე შეადგენს 30 გრძივ მეტრს.

**კაბელის ტექნიკური მახასიათებლები**

| კაბელის მარკა | ნომინალური კვეთი, | ეკრანის კვეთი, მმ² | გარე დიამეტრი, მმ | წონა, კგ/კმ | ნომინალური დენი (მიწაში/ჰაერი), ა |
|---|---|---|---|---|---|
| A2XSY 12/20 KV | 1x300 | 25 | 41-46 | 2000 | 471/569 |

### 1.6. ელექტროენერგიის აღრიცხვა

პროექტით, ელექტროენერგიის აღრიცხვის მოწყობა გათვალისწინებულია შემდეგ მინაერთებზე:

1. ძალოვანი ტრ-რის 10 კვ მაბვის შემყვანზე, 10 კვ მაბვის გამავალი ხაზის 4 უჯრედზე და ნეიტრალის დამიწების უჯრედზე:
   - სამფაზა მრიცხველი **MERCURI 234 ART(X)2 - 00-PBR,** 3×57,7/100 ვ, 5(10) ა;
2. საკუთარი მოხმარების ტრ-რის 0.4 კვ მაბვის მხარეს:
   - სამფაზა მრიცხველი **MERCURY 234 ART(X) - 02 PBR**, 3×230 ვ, 5(100) ა







აღრიცხვისათვის გამოყენებული მრიცხველები უნდა შეესაბამებოდეს საქართველოში მოქმედ შესაბამის სტანდარტებს და რეგისტრირებული უნდა იყოს საქართველოში დაკანონებული გაზომვის საშუალებების სახელმწიფო რეესტრში.

ელექტროენერგიის მრიცხველს უნდა ჰქონდეს RS-485 პორტის მხარდაჭერა.

ელექტროენერგიის მრიცხველები სს „ენერგო-პრო ჯორჯია“-ს „ალფა ცენტრთან” დაკავშირებული იქნება ინდივიდუალური GPRS სიმ ბარათით, შესაბამისად, აღრიცხვის კვანძი

აღჭურვილი უნდა იყოს GPRS ტერმინალით (მოდემით) TELEOFIS WRX708-R4 (კვების ბლოკით) და მისი ანტენით - TELEOFIS RC30 SMA.







**GPRS ტერმინალი (მოდემი) TELEOFIS WRX708-R4 და მოდემის ანტენა TELEOFIS RC30 SMA;**

მრიცხველის წრედებში გამოყენებული უნდა იყოს BTS ტიპის გამოსაცდელი საკლემე ბლოკი.




**BTS ტიპის გამოსაცდელი საკლემე ბლოკი - ელექტრული სქემა**




**BTS ტიპის გამოსაცდელი საკლემე ბლოკის გაბარიტული ზომები**

ელექტროენერგიის მრიცხველებისა და საკომუნიკაციო მოწყობილობის განთავსება გათვალისწინებულია 10 კვ დგმ-ში, 12-მრიცხველიან კარადაში.

აღრიცხვის კვანძის კარადა უნდა უზრუნველყოფდეს მოწყობილობის დაცვას გარე ფაქტორებისაგან - მექანიკური დაზიანება, ტემპერატურული რეჟიმის დარღვევა, ტენიანობა/ნალექი, მტვერი და სხვა.

მას უნდა გააჩნდეს საკეტი დალუქვის შესაძლებლობით, ხოლო კარადის წინა ნაწილში უნდა იყოს გამჭვირვალე ფანჯარა.

ელექტროენერგიის აღრიცხვის კვანძი და მასში გამოყენებული ელექტრული მოწყობილობები (მრიცხველი, დენისა და ძაბვის ტრ-რი) უნდა აკმაყოფილებდეს “ქსელის წესები”-ს VIII თავის მოთხოვნებს;

მრიცხველს, შუალედურ მომჭერთა ამკრებებს და მზომი ტრანსფორმატორების მეორად გამომყვანებს, რომლებმაც შეიძლება გავლენა იქონიონ ელექტროენერგიის აღრიცხვაზე, უნდა გააჩნდეთ დალუქვის საშუალება.

ასევე, დაცული უნდა იყოს შემდეგი პირობები:

- დენური და ძაბვის წრედების მონტაჟის დროს გამოყენებული იქნება კაბელები ფერადი იზოლაციის მქონე სადენებით, სხვა ფერებთან კომბინაციის გარეშე, გარდა ნულოვანი სადენისა.
- აღრიცხვაში გამოყენებული დენისა და ძაბვის ტრ-რები შეესაბამება საქართველოში მოქმედ შესაბამის სტანდარტებს და არის 0.5 კლასის.
- აღრიცხვაში გამოყენებულია სექციაზე მიერთებული ძაბვის ტრ-რი
- მრიცხველის წრედებში დენის ტრ-რი დამონტაჟდება 3 ფაზაში.
- გამოყენებული დენის ტრ-რების ნომინალური მეორადი დენის მნიშველობა (5ა) ემთხვევა მრიცხველების ნომინალური დენის მნიშვნელობას.
- დადგმის ადგილისა და მეთოდის შერჩევისას, მაქსიმალურად გათვალისწინებულია დენის ტრ-რის ფირნიშიდან ყველა მონაცემის ვიზუალური წაკითხვის შესაძლებლობა.
- ძაბვის ტრ-რის მეორადი წრედი იქნება განმხოლოებული და მიერთებული მხოლოდ მრიცხველზე.
- დენის ტრ-რების გაზომვის წრედები განმხოლოებული და მიერთებული მხოლოდ

მრიცხველზე.

### 1.7. აღრიცხვის კვანძის მასალებისა და მოწყობილობების სპეციფიკაცია

| # | დასახელება | ტიპი ან მარკა | განზ. ერთ | რ-ბა |
|---|---|---|---|---|
| | **ელექტროენერგიის აღრიცხვა** | | | |
| 1 | ელექტროენერგიის აღრიცხვის კარადა | 12-მრიცხველიანი | კომპლ. | 1 |
| 2 | ელექტროენერგიის ელექტრონული მრიცხველი | სამფაზა, MERCURI 234 ART(X)2- 00-PBR; 3×57,7/100 ვ, 5(10) ა; | ცალი | 5 |
| 3 | ელექტროენერგიის ელექტრონული მრიცხველი | სამფაზა, MERCURY 234 ART(X)-02 PBR, 3×230 ვ, 5(100) ა | ცალი | 1 |
| 4 | შუალედური მომჭერი | BTS 25 КП | ცალი | 5 |
| 5 | GPRS ტერმინალი | Teleofis WRX708-R4 (H) | ცალი | 1 |
| 6 | კვების ბლოკი | | ცალი | 1 |
| 7 | ანტენა | TELEOFIS RC30 SMA | ცალი | 1 |
| 8 | შტეფსელი | 220 ვ, 6A | ცალი | 1 |
| 9 | სპილენძის საკონტროლო კაბელი | ეკრანირებული, 4x2.5 $mm^2$ | მეტრი | 100 |

### ელექტროენერგიის მრიცხველის ჩართვის სტანდარტული პრინციპიალური სქემა



## 2. სპეციფიკაციები

### ძირითადი მასალებისა და მოწყობილობების სპეციფიკაცია

| ## | დასახელება | ტიპი | განზ. ერთ | რ-ბა | შენიშვნა |
|---|---|---|---|---|---|
| I | **35 კვ ძაბვის დახურული გამანაწილებელი მოწყობილობა** | | | | |
| 1 | 35 კვ ძაბვის შიდა დადგმულობის კგმ - 8 უჯრედი: სახაზო - 2 ერთ.; სატრ-რო - 2 ერთ.; ძაბვის ტრ-რი - 2 ერთ.; საექციო ამომრთვ. – 1 ერთ.; სასექციო გამთიშველი - 1 ერთ. | DNF7 Schneider | კომპლ. | 8 | |
| III | **10 კვ ძაბვის გამანაწილებელი მოწყობილობის ძალოვანი აპარატურა** | | | | |
| 1 | 10 კვ ძაბვის შემყვანის უჯრედი 1000 ა, ვაკუუმური ამომრთველით | 400//5/5/5 Easergy P1F1E (2ც), ან Micom | კომპლ. | 1 | |
| 2 | 10 კვ ძაბვის სახაზო უჯრედი, 630 ა ვაკუუმური ამომრთველით | ნულ. მიმდევრობის დენის ტრ-რით Easergy P1F1E | კომპლ. | 4 | |
| 3 | სასექციო გამთიშველის უჯრედი 630 ა | | კომპლ. | 1 | |
| 4 | 10 კვ ძაბვის ტრ-რის უჯრედი | რელე Easergy P1V1A, | კომპლ. | 1 | |
| 5 | ს. მ. ტრ-რის უჯრედი, 0.4 კვ გამანაწილებელი ფარით | 10/0,4 კვ 40 კვა | კომპლ. | 1 | |
| 6 | | | | | |
| IV | **10 კვ საკაბელო მეურნეობა - ძალოვანი ტრ-რის შემყვანი** | | | | |
| 1 | ალუმინის ერთფაზა კაბელი | A2XSY 12/20 kV 1x300 RM/25 | გრძ. მეტრი | 100 | |
| 2 | 10 კვ ერთფაზა კაბელის შიდა დადგმულობის დამაბოლოებელი ქურო | 185-400 $mm^2$, POLT-24E/1XI-L12, EAKT-1658 არმატურით | კომპლ. | 3 | |
| 3 | 10 კვ ერთფაზა კაბელის გარე დადგმულობის დამაბოლოებელი ქურო | 185-400 $mm^2$, POLT-24E/1XO-L12, EAKT-1658 არმატურით | კომპლ. | 3 | |
| V | **სარელეო დაცვა და მეორადი კომუტაცია** | | | | |
| ## | **დასახელება** | **ტიპი** | **განზ. ერთ** | **რ-ბა** | **შენიშვნა** |
| 1 | NYY 4x10 $mm^2$ | | გრძ.მ | 15 | |
| 2 | NYY 4x2.5 $mm^2$ | | გრძ.მ | 375 | |
| 3 | NYCY 14x1.5 $mm^2$ | | გრძ.მ | 200 | |
| 4 | NYCY 19x1.5 $mm^2$ | | გრძ.მ | 30 | |
| 5 | NYCY 4x4 $mm^2$ | | გრძ.მ | 215 | |
| 6 | NYY 10x2.5 $mm^2$ | | | 205 | |
| 7 | კაბელის მარკერი 2.5 -4მმ2 სპილენძის კაბელისთვის | WKM-18/43 Weidmuller | ცალი | 100 | |
| 8 | კაბელის ძარღვის მარკერი 2.5-4 $mm^2$ კაბელისთვის | Weidmuller Slim Fix clip - SF4/21 | ცალი | 50 | |
| 9 | კაბელის ძარღვის მარკერი 2.5 $mm^2$ კაბელისთვის | Weidmuller Slim Fix clip - SF3/21 | ცალი | 200 | |
| 10 | კაბელის სამაგრი ნეილონის თასმა | SP 150*4.5 | ცალი | 200 | |
| 11 | მუდმივი ოპერატიული დენის კარადა | 50 ა*სთ, 220 ვ | კომპლ. | 1 | |
| 13 | ცენტრალური სიგნალიზაციის კარადა | ANN16 რელეს ბაზაზე | კომპლ. | 1 | |
| 14 | ძაბვის ავტომატური რეგულირების მოწყობილობა | TAPCON230 PRO (EXPERT) რელეს ბაზაზე | კომპლ. | 1 | |

## ცენტრალური სიგნალიზაციის კარადა

## ANN16 ტიპის მოწყობილობის ბაზაზე

- სასიგნალო მოწყობილობა - **ANN16** – 4 ცალი;
- ზარი (ავარიული და გამაფრთხილებელი სიგნალისთვის) - 2 ცალი;
- მუდმივი დენის ნომინალური ძაბვა – 220 ვ;
- კარადის დაცვის ხარისხი - IP21;
- კარადა ორმხრივი მომსახურებისაა, წინა და უკანა კარით, რომელიც აღჭურვილია საკეტით. L x W x H – 800 x 800 x 2000 mm.

## VT&Central signalisation box based on ANN16 type device

- Signaling Device – ANN-16 – 4 pc;
- Bell (for emergency and warning signals) – 2pc;
- The voltage of direct current - 220 VDC;
- Cubicle Protection class - IP21;
- 2-sided service cubicle-front&back door, with lock, L x W x H – 800 x 800 x 2000 mm.
-



www.alibaba.com

## Specifications

Signalling devices for acquiring and processing alarm signals and status messages

The ANN16 Alarm Annunciator system is designed to give LED indication of an alarm or trip condition, where a high degree of reliability and flexibility is required.

The ANN16 features an Integral Power Supply capable of accepting either Voltage Inputs from 24-220VAC OR 24-220VDC which allows the user to connect the unit directly to a Main and Aux Supply.

As an option, if specified at time of order, the communication module provide all data and time information for remote monitoring system such as HMI, SCADA or DCS with Modbus RTU protocol.

**Technical Specs:**

**Case:** control panel mountable, robust enclosure system pursuant to DIN 43718

**Case dimensions:** 144 mm x 144 mm x 85 mm (depth)

**Terminal:** phoenix screw-type terminal

**Signal texts:** interchangeable label inserts

**Signal display:** by three colour LED

**Signal inputs:** opto-decoupled, MOV protected, high interference immunity. Detectable signal pulse length >3 ms(configurable) with DC or >25 ms(configurable) with AC signal voltage

**Signal functions:**

- output types(horn or bell) of signal inputs can be set by switches on back of case
- first-up signal
- new-value signal
- single and dual flashing leds(1 Hz, 2 Hz)
- alarm signal (red) or status message (green-optional)
- manual or automatic (5 sec.-optional) acknowledgement of acoustic signal output
- enable/disable acoustic outputs

**Operator controls:** 4 internal keypads (reset, test, enable/disable horn, alarm acknowledgement)

**Acoustic signal generator:** internal alarm buzzer

**Alarm outputs:** 2 monostable contact assembly (N/O contact) for external acoustic signal generator(horn and bell)

**Alarm signal processing:** 2 monostable contact assembly (N/O contact) per signal input (optional) for all contact assemblies 24 VDC / 3 A to 220 VDC / 0.1 A or 230 VAC / 4 A

**Signal voltage:** variant dependant 24 VDC or 48 VDC to 60 VDC or 110 VDC or 220 VDC or 24 VAC or 48 VAC to 60 VAC or 127 VAC or 230 VAC

**Supply voltage:** variant dependant 24 VDC or 48 VDC to 60 VDC or 110 VDC or 220 VDC or 24 VAC or 48 VAC to 60 VAC or 127 VAC or 230 VAC.

მუდმივი ოპერატიული დენის კარადა

| Questionnaire for Rectifier cabinet for auxillary direct current | | | |
|---|---|---|---|
| **Designation** | | | |
| Input Parameters | Number of inlets, ( выпрямительный блок) pc | | 2 |
| | Voltage, V | | ~ 220 ± 15% |
| **Rectifier charger** | pc | | 2 |
| Output parameters | Number of outgoing sections, pc | | 2 |
| | Output current of charging device, pc | | 10 |
| | Output Voltage, V | | = 220 |
| | Capacity of accumulator, A.h | | 50 |
| | Life time of accumulator battery, Year | | 15 |
| Scheme Options | Without sectioning | Two or more charger working in parallel mode | - |
| | | One chrager with RSD on income | - |
| | | One Cherge is main, another Hot standby, RSD on incoming | - |
| | With Sectioning | Two charger are working in parallel mode, On their sections | Yes |
| Inlet MCB | Number of MCB's, pc | | 2 |
| | Rated Current of MCB, A | | 50 |
| | Presence of MCB's position signaling, Yes/No | | Yes |
| | Presence of signaling of MCB's actuation , Yes/No | | - |
| Outgoing MCB | Number of MCB's on 1 section, pc | | 10 |
| | Rated Current of MCB, (2 pc) A | | 16 |
| | Rated Current of MCB, (8 pc) A | | 10 |
| | Number of MCB's on 2 section, pc | | 10 |
| | Rated Current of MCB, (2 pc) A | | 16 |
| | Rated Current of MCB, (8 pc) A | | 10 |
| | Presence of MCB's position signaling, Yes/No | | Yes |
| | Presence of signaling of MCB's actuation , Yes/No | | - |
| | withdraw of annunciators on terminals, Yes/No | | Yes |
| Dielectric resistance of bus bars | insulation monitoring device, Yes/No | | Yes |
| | Troubleshooting of earthed outgoing lines, Yes/No | | Yes |
| Cable Connections | Inlet/Outlet | From above through gland, Yes/No | - |
| | | From down through gland, Yes/No | Yes |
| Degree of protection IP 20….54 | | | IP54 |
| Heating, Yes/No | | | Yes |
| Additional Conditions: | | | |

## ქვესადგურის დამამიწებელი მოწყობილობის მასალათა სპეციფიკაცია

| ## | დასახელება | რ-ბა, ცალი | სიგრძე, მ | წონა, კგ | შენიშვნა |
|---|---|---|---|---|---|
| 1 | ზოლოვანა ფოლადი 40x4 mm<br>(ჰორიზონტალური დამამიწებელი ელექტროდი) | _ | 822 | 1035.2 | |
| 2 | ზოლოვანა ფოლადი 40x4 mm<br>(მოწყობილობის დაკავშირება კონტურთან) | _ | 200 | 252.0 | |
| | | ჯამი | 1022 | 1287.2 | |
| 3 | მრგვალი ფოლადი Ø=20 mm; L=3.0 m<br>(ვერტიკალური დამამიწებელი ელექტროდი) | 56 | 168 | 414.3 | |
| 4 | შესადუღებელი ელექტროდი | _ | _ | 15.0 | |
| 5 | ანტიკოროზიული საღებავი | _ | _ | 5.0 | |

## აღრიცხვის კვანძის მასალებისა და მოწყობილობების სპეციფიკაცია

| # | დასახელება | ტიპი ან მარკა | განზ. ერთ | რ-ბა |
|---|---|---|---|---|
| | **ელექტროენერგიის აღრიცხვა** | | | |
| 1 | ელექტროენერგიის აღრიცხვის კარადა | 12-მრიცხველიანი | კომპლ. | 1 |
| 2 | ელექტროენერგიის ელექტრონული მრიცხველი | სამფაზა, MERCURI 234 ART(X)2- 00-PBR; 3×57,7/100 ვ, 5(10) ა; | ცალი | 5 |
| 3 | ელექტროენერგიის ელექტრონული მრიცხველი | სამფაზა, MERCURY 234 ART(X)-02 PBR, 3×230 ვ, 5(100) ა | ცალი | 1 |
| 4 | შუალედური მომჭერი | BTS 25 КП | ცალი | 5 |
| 5 | GPRS ტერმინალი | Teleofis WRX708-R4 (H) | ცალი | 1 |
| 6 | კვების ბლოკი | | ცალი | 1 |
| 7 | ანტენა | TELEOFIS RC30 SMA | ცალი | 1 |
| 8 | შტეფსელი | 220 ვ, 6A | ცალი | 1 |
| 9 | სპილენძის საკონტროლო კაბელი | ეკრანირებული 4x2.5 $mm^2$ | მეტრი | 100 |

## 35 კვ ძაბვის კომპლექტური გამანაწილებელი მოწყობილობა 35 kV Air insulated metal-clad switchgear DNF7 (Schneider Electric)

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1. | Rated Voltage, kV | 40.5 | 2. | Busbar rated current, A | 1250 | 3. | Rated frequency, Hz | 50 |
| 4. | Rated lightning impulse withstand voltage, kV | 185 | 5. | Rated short circuit breaking current, kA | 31.5 | 6. | Auxilliary voltage, V | 220 VDC |
| 7. | Rated power frequency withstand voltage, kV/1 min | 95 | 8. | Rated peak withstand current (peak value), kA | 63 (80) | 9. | Protection units interface | RS485 |
| 10. | Rated short time withstand current (3s), kA | 63 | 11. | Internal arc classification | AFLR 31.5kA (1s) | 12. | Overall Dimensions (W x D x H), mm | 1200×2505×2400 |

| | | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 13. | Cubicle Serial ## | | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 | 11 | 12 |
| 14. | Primary Scheme Code | | P03 | I/F01 | I/F01 | CR02 | CR01 | I/F01 | I/F01 | P03 | | | | |
| 15. | Primary Scheme | |  | | | | | | | | | | |
| 16. | Function of Unit | | VT | Transformer | Line | Bus Coupler | Bus Riser | Line | Transformer | VT | | | | |
